ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 60 40

N 6
28/02/2019

6-08-4-201902281609

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე 129 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის/წერტილის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემასა და 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლისა და 36-ე მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე 129 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის/წერტილის, შ.პ.ს. ,,მაგთიკომი“-სათვის (ს/კ -218083767) 10 (ათი) წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული 129 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით გადაცემისას, თითოეულ ბოძზე წერტილოვანი სარგებლობის უფლების - ქირის წლიური საფასურის 2 (ორი) ლარის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა